

რეკომენდაციები კენჭისყრის დღეს საარჩევნო უბანზე ფოტოვიდეოგადაღებასა და უსაფრთხოების წესების დაცვაზე

წინასარჩევნო პერიოდში, განსაკუთრებით კი კენჭისყრის დღეს, მედიის პასუხისმგებლობა, მიაწოდოს აუდიტორიას ინფორმაცია, კრიტიკულად მნიშვნელოვანია. თუმცა, იმ პირობებში, როდესაც ქვეყანაში კორონავირუსით დაავადებულთა რიცხვი დღითიდღე იზრდება, აუცილებელია, რომ პროფესიული მოვალეობის შესრულებისას დაცული იყოს მედიაორგანიზაციებში დასაქმებული პირების უსაფრთხოება.

ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ მედიის უსაფრთხოებისა და გამუქების თვალსაზრისით დადგენილი წესები დაცული იყოს.

მედიის წარმომადგენლების აკრედიტაცია

იმისთვის, რომ მედიასაშუალების წარმომადგენელს საარჩევნო პერიოდში საარჩევნო კომისიების სხდომებზე დასწრების და კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობებში ყოფნის უფლება მიეცეს, მას შესაბამის საარჩევნო კომისიაში გავლილი უნდა ჰქონდეს აკრედიტაცია.

გასათვალისწინებელია, რომ რამდენიმე საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე მომუშავე მედიასაშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციას ახორციელებს ცესკოს მდივანი ან შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიების მდივნები, ხოლო მხოლოდ ერთი საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე მომუშავე წარმომადგენლების აკრედიტაციას – შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი.

მედიასაშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციის შესახებ განცხადება შესაბამის საარჩევნო კომისიას უნდა წარედგინოს კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს მე-5 დღისა.

წარდგენილ განცხადებას თან უნდა ერთვოდეს მედიის წარმომადგენლების პირადობის ან პასპორტის ფოტოასლები. იმ შემთხვევაში კი, თუ მედიაორგანიზაცია მიმართავს საარჩევნო კომისიას, განცხადებას უნდა ერთვოდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერი, რომელიც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემულია საარჩევნო კომისიისათვის განცხადების წარდგენამდე ბოლო 10 დღის ვადაში.

აკრედიტაციისათვის ამონაწერი არ ესაჭიროებათ უცხოურ მედიასაშუალებებს, საზოგადოებრივ მაუწყებელს და საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოს.

განცხადების წარდგენიდან 2 დღის ვადაში შესაბამისი საარჩევნო კომისიის მდივანი წვეტს მედიასაშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციის საკითხს და აკრედიტებულ წარმომადგენლებს გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი დღის ვადაში გადასცემს სათანადო მოწმობას (რომელიც შემდგომში გამოიყენება როგორც სამკერდე ნიშანი და სავალდებულოა, რომ ეკეთოს მედიის ყველა წარმომადგენელს), ხოლო აკრედიტაციაზე უარის თქმის შემთხვევაში, იმავე ვადაში გადასცემს სათანადო განკარგულებას, რომელიც უნდა იყოს დასაბუთებული.

აკრედიტებული მედიასაშუალების ხელმძღვანელობის/წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონე პირის საარჩევნო სუბიექტად ან/და საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლად რეგისტრაციაში გატარების შემთხვევაში, რეგისტრაციიდან არაუგვიანეს 5 კალენდარული დღისა, მედიასაშუალება ვალდებულია, შესაბამის საარჩევნო კომისიას წარუდგინოს დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება, რომ საარჩევნო სუბიექტად/სუბიექტის წარმომადგენლად რეგისტრირებულ მედიასაშუალების ხელმძღვანელობის/წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონე პირს შეუწყდა ან შეუწყდება უფლებამოსილება. ამ დოკუმენტის წარუდგენლობა შესაბამისი მედიასაშუალების აკრედიტაციის გაუქმების საფუძველია.

ერთსა და იმავე მედიასაშუალებას კენჭისყრის დღეს შეუძლია საარჩევნო უბანში ერთდროულად ჰყავდეს არაუმეტეს 2 წარმომადგენელი.

პირი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი მედიასაშუალების წარმომადგენელი. ამასთან, მედიასაშუალების წარმომადგენელი იმავედროულად არ შეიძლება იყოს საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელი/დამკვირვებელი ორგანიზაციის დამკვირვებელი.

კენჭისყრის დღეს საარჩევნო უბანში მისვლამდე

კენჭისყრის დღეს საარჩევნო უბანში წასვლამდე აუცილებლად გადაამოწმეთ, რომ თან გაქვთ:

- პირბადე;
- ერთჯერადი ხელთათმანები;

- სახის დამცავი ფარი;
- ხელის სადენზიფექციო ხსნარი - გამოიყენეთ ხელის ანტიბაქტერიული სითხე, რომელიც სულ მცირე 70% ალკოჰოლს შეიცავს.

კენჭისყრის შენობაში შესვლამდე

კენჭისყრის შენობის შესასვლელთან, შემსვლელ პირთა (მათ შორის ჟურნალისტთა) ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმების მიზნით, განხორციელდება თერმოსკრინინგი (ტემპერატურის გაზომვა), რომელსაც უზრუნველყოფს შესაბამისი საუბნო საარჩევო კომისიის თავმჯდომარის მიერ უფლებამოსილი პირი.

გახსოვდეთ, რომ ცხელების (37°C ან 37°C-ზე მეტი ტემპერატურის) დაფიქსირების შემთხვევაში, ხდება ტემპერატურის ხელახალი გადამოწმება (5 წუთიან შუალედში), განმეორებით ცხელების დაფიქსირების შემთხვევაში კი არ ხდება კენჭისყრის შენობაში დაშვება.

განმეორებითი შემოწმების შემდეგ ცხელების დაფიქსირების შემთხვევაში, კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირმა უნდა დატოვოს შენობა. თუ ეს პირი ნებაყოფლობით არ ასრულებს მითითებას კენჭისყრის შენობის დატოვების შესახებ, საუბნო საარჩევო კომისია იღებს გადაწყვეტილებას ამ პირის შენობიდან გაძევების საკითხზე.

კენჭისყრის შენობაში შესვლისას გაიარეთ დეზობარიერი. არ უნდა დაგავიწყდეთ ხელის დამუშავება სადენზიფექციო ხსნარით, რომელიც განთავსებულია შენობის შესასვლელში.

გახსოვდეთ, რომ პირბადისა და ხელის სადენზიფექციო ხსნარით დამუშავების გარეშე, თქვენ არ დაიშვებით კენჭისყრის შენობაში.

პირბადის გამოყენება არ მოეთხოვება პირს, რომელსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო (მათ შორის, ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადების, ბრონქული ასთმის, სუნთქვის უკმარისობით მიმდინარე გულ-სისხლძარღვთა დაავადების, აუტისტური სპექტრის დარღვევის ან/და განვითარების ანომალიის ან დეფექტის გამო) უჭირს პირბადის ტარება, რაც დასტურდება სამედიცინო/ექიმის ცნობით. ასეთ შემთხვევებში აუცილებელი არაა ექიმის ახალი ცნობის აღება, თუ უკვე არსებობს აღნიშნული ავადმყოფობების შესახებ რაიმე ტიპის

დამადასტურებელი დოკუმენტი (მ.შ., სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის აქტის ამონაწერი, ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა №IV-100/ა და სხვ.).

კენჭისყრის შენობაში შესვლისას

კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე ყველა პირს, მათ შორის მედიასაშუალების წარმომადგენელს, აუცილებლად უნდა ეკეთოს მისი ვინაობისა და სტატუსის დამადასტურებელი შესაბამისი კომისიის მიერ გაცემული სამკერდე ნიშანი.

მედიასაშუალების წარმომადგენელმა, რომელიც შედის საარჩევნო უბანში, რეგისტრაცია უნდა გაიაროს საარჩევნო უბნის მდივანთან. კომისიის მდივანი ჩანაწერთა წიგნში აკეთებს შესაბამის აღნიშვნას, რაც ხელმოწერით უნდა დაადასტუროს მედიის წარმომადგენელმა.

კენჭისყრის შენობაში ყოფნისას

ფოტოვიდეოგადაღება

მედიის წარმომადგენლებს კენჭისყრის შენობაში, კენჭისყრის კაბინის გარდა, საარჩევნო პროცესისათვის/კომისიის სხდომისთვის ხელის შეშლის გარეშე, შეუძლიათ აწარმოონ ფოტოვიდეოგადაღება. აღნიშნული უნდა განხორციელდეს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ გამოყოფილი სპეციალური ადგილიდან, გადაღების სუბიექტიდან/ობიექტიდან არანაკლებ 3 მეტრის მანძილის დაშორებით, საიდანაც ჩანს საარჩევნო პროცესი. ამასთან, მნიშვნელოვანია, ჩანდეს საარჩევნო ყუთი. იმ შემთხვევაში კი, თუ კენჭისყრის შენობა არ იძლევა 3 მეტრიანი დისტანციის დაცვის საშუალებას, გადასაღებ ადგილს განსაზღვრავს შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

როდესაც მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე ამომრჩევლები (პოლიტიკური თანამდებობის პირები, საარჩევნო სუბიექტებისა და პოლიტიკური გაერთიანებების ხელმძღვანელები, რელიგიური ლიდერები) აძლევენ ხმას, კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებს დაუბრკოლებლად შეუძლიათ აწარმოონ ფოტოვიდეოგადაღება, კენჭისყრის პროცესის ხელშეშლის გარეშე. მას შემდეგ, რაც

მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე ამომრჩევლები დატოვებენ კენჭისყრის შენობას, ფოტო-ვიდეო გადამღები აპარატები გატანილი უნდა იყოს შენობიდან.

ერთი და იმავე მედიასაშუალებას უფლება აქვს, რომ კენჭისყრის პროცესის განმავლობაში ფოტოვიდეოგადაღება ერთხელ აწარმოოს არაუმეტეს 10 წუთისა ნებისმიერი ადგილიდან. თუ აღნიშნულ წარმომადგენელს აქვს სურვილი, ფოტოვიდეოგადაღება აწარმოოს 10 წუთზე მეტი ხნის განმავლობაში, მაშინ ის ვალდებულია, რომ დაიკავოს კენჭისყრის შენობაში გამოყოფილი სპეციალური ადგილი სტაციონალური ფოტო-ვიდეო გადამღები აპარატით.

გახსოვდეთ, რომ აკრძალულია:

- ფოტოვიდეოგადაღება კენჭისყრის კაბინაში;
- კენჭისყრის შენობაში ნებისმიერი ფორმით ისეთი ინფორმაციისა თუ მასალის გადაღება, რომელიც საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობით საჯარო ინფორმაციას არ განეკუთვნება, მათ შორის ამომრჩეველთა სიების საარჩევნო კომისიისათვის განკუთვნილი (სამაგიდო) ვერსია.

გაითვალისწინეთ, რომ ფოტოვიდეოგადაღების წარმოების წესების დარღვევის შემთხვევაში, საუბნო საარჩევნო კომისია ხმათა უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი პირის კენჭისყრის შენობიდან გაძევების შესახებ.

კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებთან ინტერვიუს ჩაწერა

ინტერვიუს ჩაწერა კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებთან დასაშვებია მხოლოდ კენჭისყრის შენობის გარეთ.

ინტერვიუს მიცემა საარჩევნო კომისიის წევრების მიერ უნდა განხორციელდეს კენჭისყრის პროცესში მათთვის განკუთვნილი მოვალეობების შესრულების შეფერხების გარეშე.

ინტერვიუს დროს:

- ყოველთვის დაიცავით რეკომენდებული 2 მეტრიანი დისტანცია;
- ეცადეთ, რესპოდენტთან ინტერვიუს დროს არა მის პირისპირ, არამედ გვერდულად დადგეთ;

- ინტერვიუ ჩაწერეთ ღია სივრცეში;
- სამკერდე მიკროფონის ნაცვლად, გამოიყენეთ გრძელ ჯოხზე დამაგრებული მიკროფონი უსაფრთხო (მინიმუმ 2 მეტრის) დისტანციიდან;
- ეცადეთ, მოერიდოთ მიკროფონის ე.წ. ქარდამცავი გარსის გამოყენებას, რომლის გაწმენდაც უფრო რთულია.

დადგენილი უსაფრთხოების წესების დაცვა და დარღვევის ფაქტებზე რეაგირება

მედიის წარმომადგენლებს რაც უფრო დიდი დროის გატარება უწევთ საარჩევნო უბანზე, მით უფრო მეტია მათი დაინფიცირების რისკი. ამიტომ, მნიშვნელოვანია, მიიღონ ყველა ის ზომა, რომელიც ამ რისკს შეამცირებს.

სწორად გამოიყენეთ პირბადე

- ✓ დარწმუნდით, რომ ნიღაბი მჭიდროდ ერგება ცხვირს, ნიკაპს და შემცირებულია ნაპრალები;
- ✓ მოერიდეთ ნიღაბზე ხელით შეხებას. მოიხსენით ის თასმების მეშვეობით;
- ✓ არასდროს შეეხოთ პირბადის წინა ნაწილს. გადასაგდებად განკუთვნილი უკვე გამოყენებული ნიღაბი ყოველთვის მოათავსეთ დახურულ ურნაში;
- ✓ ნიღბის მოხსნის შემდეგ გამოიყენეთ ხელის ანტიბაქტერიული ხსნარი;
- ✓ როგორც კი ნიღაბი ტენიანი გახდება, ჩაანაცვლეთ ის ახალი, სუფთა და მშრალი ნიღბით.

გაითვალისწინეთ, რომ ნიღბის არასწორად გამოყენებით, ის შესაძლოა ინფიცირების წყაროდ იქცეს. ნიღბის მოხსნა, მეორედ გამოყენება ან ხელით შეხება, როცა გიკეთიათ, ინფიცირების რისკს ზრდის.

პირბადის გარეშე საარჩევნო უბანზე მყოფი პირი ექვემდებარება გაფრთხილებას. თუ გაფრთხილების მიუხედავად, პირი აგრძელებს პირბადის ტარების წესის დარღვევას, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ვალდებულია მიუთითოს მას, რომ დატოვოს კენჭისყრის შენობა. თუ ეს პირი ნებაყოფლობით არ ასრულებს მითითებას კენჭისყრის შენობის დატოვების შესახებ, საუბნო საარჩევნო კომისია იღებს გადაწყვეტილებას მისი კენჭისყრის შენობიდან გამეგების საკითხზე.

ნუ შეეხებით სახის არეს

მაქსიმალურად ეცადეთ ხელით არ შეეხოთ სახის არეს, მათ შორის თვალებს, პირს, ყურებსა და ცხვირს.

გამოიყენეთ სახის დამცავი ფარი

პირბადესთან ერთად სახის დამცავი ფარის გამოყენება კიდევ უფრო ამცირებს დაინფიცირების რისკს. მედიის იმ წარმომადგენლებისთვის, ვისაც მთელი დღის განმავლობაში უწევთ კენჭისყრის შენობაში ყოფნა, რეკომენდირებულია მისი გამოყენება.

გამოიყენეთ ერთჯერადი ხელთათმანები

- ✓ ხელთათმანების გამოყენება ამცირებს დაინფიცირების რისკს;
- ✓ გაითვალისწინეთ, რომ ნიტრილის ხელთათმანი გთავაზობთ უფრო მაღალი ხარისხის დაცვას, ვიდრე ლატექსის ხელთათმანი, ორი წყვილის ერთდროულად ჩაცმა კი, კიდევ უფრო ზრდის დაცულობას;
- ✓ არასოდეს გამოიყენოთ ერთჯერადი ხელთათმანი მეორედ.

ხშირად დაიმუშავეთ ხელები

ხშირად დაიმუშავეთ ხელები სადეზინფექციო სითხით, რომელიც შეიცავს სულ მცირე 60% ალკოჰოლს. გამოყენებისას ხელი მთლიანად დაფარეთ სითხით და შეიზილეთ, სანამ სიმშრალეს არ იგრძნობთ.

გამოყენებული ნივთები გადაყარეთ ფრთხილად

გამოყენებული პირბადე, ერთჯერადი ხელთათმანები, სახის დამცავი ფარი მოათავსეთ ჰიგიენური ნარჩენებისთვის განსაზღვრულ დახურულ კონტეინერში.

აპარატურა

მუშაობის პროცესში მხოლოდ პირადი ჰიგიენისა და უსაფრთხოების წესების დაცვა საკმარისი არ არის. დაინფიცირების წყარო შესაძლოა გახდეს ის ტექნიკაც, რასაც მუშაობისას იყენებთ. ამიტომ მნიშვნელოვანია აპარატურის წმენდისა და დეზინფიცირების წესების დაცვა.

აპარატურა, მათ შორის ტელეფონები, პლანშეტები, სადენები, ყურსასმენები, ლეპტოპები, მყარი დისკები, კამერები, პრესის ბარათები და სხვ. ხშირ-ხშირად გაწმინდეთ ანტიმიკრობული ხელსახოცებით.

სასურველია, თან იქონიოთ ბოლომდე დატენილი ორი ელემენტი და მოერიდოთ რაიმეს ადგილზე დატენვას. ასე კიდევ ერთი ნივთი დაემატება, რომელზეც შესაძლოა ვირუსი მოხვდეს.

გამოყენებული მასალები:

- „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“
- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2020 წლის 18 სექტემბრის # 38/2020 დადგენილება „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით 2020 წლის 31 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის მორიგი/საკრებულოების შუალედური/მერების რიგგარეშე არჩევნების კენჭისყრის დღისთვის ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიებისა და სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნების განსაზღვრის შესახებ.“
- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 24 სექტემბრის #42/2012 დადგენილება „ზოგიერთი საარჩევნო პროცედურის განსაზღვრის შესახებ“
- „ეთიკა, უსაფრთხოება და ფსიქიკური ჯანმრთელობა კორონავირუსული პანდემიის (COVID-19) გაშუქებისას - სახელმძღვანელო წესები მედიისათვის“
<https://www.qartia.ge/ka/covid/article/81501-shromis-usafirthkhoeba-da-fsiqikuri-janmrtheloba>